ა ნ გ ა რ ი შ ი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს. კომისია შედგება 17 წევრისაგან.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, სამსახურებთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

2021 წლის 27 დეკემბერს კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად, რომელშიც აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, დამტკიცდა სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე იხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები.

წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც განხილვის მიზნით, ეგზავნებათ კომისიის წევრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 (შვიდი) სხდომა. მათზე განხილულია 27 (ოცდაშვიდი) საკითხი (იხ. დანართი 1).

ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არც ერთი სხდომა. ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

მიმდინარე მოწვევის პერიოდის პირველმა სხდომამ, 2021 წლის 27 დეკემბერს, განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბოლო, მეშვიდე ცვლილება, რომლის შემდეგაც ცვლილების ნაწილში მუშაობა მიმდინარეობდა მხოლოდ 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

კომისიამ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტი „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის 2021 წლის ანგარიში". დოკუმენტში გამოიკვეთა, რომ თბილისის და ქუთაისის გამოცდილება სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის მიზნით შექმნილი ა(ა)იპ-ების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ, რაც ამცირებს ადმინისტრაციულ დანახარჯებს და დაწესებულებების მართვას უფრო ეფექტიანს ხდის, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ სტრუქტურაში გაერთიანების პრაქტიკა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პოზიტიურად იქნა მიჩნეული. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ მხრივ თბილისის და ქუთაისის გამოცდილება შესაძლებელია სხვა მუნიციპალიტეტებმაც გაიზიარონ.

აღნიშნული საკითხის შესახებ კომისიამ მოამზადა განკარგულების პროექტი, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 2022 წლის 30 მარტის სხდომაზე.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. განიხილა და შეაფასა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წარადგინა შესაბამისი წინადადებები;
2. მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის და შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. კომისიამ 2021 წლის 27 დეკემბერს განიხილა 2022 წლის ბიუჯეტის მეორე, კორექტირებული ვარიანტი, მოამზადა დასკვნა და მისცა მას რეკომენდაცია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად;
4. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2022 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა;

5. განხილულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მომართვა - „უფასო მგზავრობის მოწყვლადი ჯგუფების შერჩევისა მათი ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ“ და მომზადდა შესაბამისი წერილი;
6. მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები;
7. კომისიამ სხდომებზე განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში შესატანი ოთხი ცვლილება, რომელთა შესახებაც მომზადდა შესაბამისი დასკვნები. ამ პერიოდში, ცვლილებების შედეგად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 89,9 მლნ.ლარიდან 131,9 მლნ.ლარამდე გაიზარდა;
8. კომისიამ საკრებულოს განსახილველად წარუდგინა ერთი სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ✓ 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;
- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით);
- ✓ სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა;
- ✓ ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა-გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით;
- ✓ 2023 წლის ბიუჯეტის საორიენტაციო პარამეტრების შემუშავებაში მაქსიმალური ჩართულობა;
- ✓ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.

2022 წლის მარტი, აპრილი, მაისი თვეებში საკრებულო წევრმა ბაქარ მახარაძემ ქ.ქუთაისის მუნუციპალიტეტის 5 ადმინისტრაციულ ერთეულში (ავტოქარხანა, ძელქვიანი, ნიკეა,

უქიმერიონი, კახიანოური) განახორციელა მოქალაქეებთან შეხვედრები. გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემები, რომლებიც გადაეგზავნა მერიის შიდა სამსახურებსა და აიპებს შესასრულებლად. პრობლემეთა ნაწილის მოსაგვარებლად მოქალაქეებს გაეწიათ კონსულტაცია, აგრეთვე ჩაერთო ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტეის მერიის გარეთ არსებული სამსახურები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა 105 სხვადსხვა სახის პრობლემა, აქედან შესრულდა 43, შესრულების პროცესშია ან ნაწილობრივ შესრულდა 24, ხოლო კონსულტაცია გაეწია 39 მოქალაქეს. (იხილეთ დანართი 2)

საკრებულოს წევრი, ბატონი ბაქარ მახარაძე არის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობს ფრაქციის მუშაობაში (სულ ფრაქციის 15 სხდომაში მონაწილეობა), რაც გამოიხატება საკითხების ინიცირებაში, გადასაწყვეტი პრობლემების მოსაგვარებლად გაწეულ საქმიანობაში, კონტროლსა და მონიტორინგში.

ბატონი ბაქარ მახარაძე არის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული კომისიის ყველა (სულ 25) სხდომაში.

ბატონ ბაქარ მახარაძისთვის მნიშვნელოვანია ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაცია, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ის არის გენედერული თანასწორობის საბჭოს წევრი და აქტიურად არის ჩართული კომისიის საქმიანობაში. (დაეწროს სულ 3 სხდომას)

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე

დანართი 1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარებული სხდომები 1.XI.2022 მდგომარეობით

სხდომის ნომერი	თარიღი	განხილული საკითხები	სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა	თანამდებობა
1	27.12.2021	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა; 3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის“ განხილვა	ი. შენგელია თ.ნადირაძე პ.ადამაძე დ.ნიშნიანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე თავმჯდომარის მოადგილე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი
2	25.01.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“	ი. შენგელია თ.ნადირაძე გ.ბასილაძე ტ.ლილუაშვილი დ.ნიშნიანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე თავმჯდომარის მოადგილეები მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი
3	29.03.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლური ანგარიშის განხილვის შესახებ“. 2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის	დ.ნიშნიანიძე	მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი

		მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დოკუმენტის „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის 2021 წლის ანგარიშის“ განხილვა		
4	12.04.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ	კ.კუხიანიძე ი.უგულავა	მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის უფროსის მ.შ. ქუთაისის მერის მოადგილე
5.	16.06.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“	დ.ნიშნიანიძე	მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი
6.	1.07.2022	1. ააიპ „მადლიერების სახლის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 3. „უფასო მგზავრობის მოწყვლადი ჯგუფების შერჩევისა მათი ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ“	ი.ქარქაშაძე თ.ბაკურაძე ვ.გობეჯიშვილი	ქუთაისის მერის მოადგილე ააიპ „მადლიერების სახლის“ დირექტორი სოციალური სამსახურის უფროსი
7.	26.07.2022	1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში მიმდინარე	ზ.ბურჯანაძე	ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და

		მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. 2. ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 3. ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 4. შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 5. შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 6. შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს“ მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 7. ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015“-ის მიერ 2021 წლის ანგარიშის, 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”	მ.ნადარეიშვილი მ.ჩალაძე ლ.ლიპარტელიანი ვ.სილაგაძე ზ.ყაველაშვილი	ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ ხელმძღვანელი ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ ხელმძღვანელი შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელი შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" შესყიდვების მენეჯერი შპს "საფეხბურთო კლუბ „მართვეს“ფინანსური მენეჯერი ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015“-ის ხელმძღვანელი
8.	27.09.2022	1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“	დ.ნიშნიანიძე	მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი

9.	12.10.2022	1. ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 2. ა(ა)იპ „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მიერ 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 3. ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 4. ა(ა)იპ "სპეციალური სერვისების" მიერ 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ” 5. ა(ა)იპ "ქუთგანათების სერვისის" მიერ 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის და წლის ბოლომდე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”	გ.ქობალიანი ვ.ჯუღელი მ.მღვდელაძე ზ.კინწურაშვილი მ.ბასილაძე ტ.მაკარიძე	ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ა(ა)იპ „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" დირექტორის მოადგილე ა(ა)იპ "სპეციალური სერვისების"ფინანსური მენეჯერი ა(ა)იპ "ქუთგანათების სერვისის" დირექტორი საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2022 წელს მარტი, აპრილი, მაისის თვეში მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი პრობლემები

დსამსახურების დასახელება	პრობლემების რ-ბა
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური	20
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო მართვის სამსახური	37
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	1
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური	4
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური	3
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“	19
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ქუთგანათება“	5
საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	16

პრობლემები	რ-ბა
სოციალური, მატერიალური საკითხები	24
ინფრასტრუქტრურული საკითხები	77
სხვადასხვა საკითხები	4

სამსახურები	პრობლემების რ-ბა

მერიის შიდა სამსახურები და აიპები	89
მერიის გარეთ არსებული სამსახურები	16

შედეგები	რაოდენობა
შესრულდა	43
ნაწილობრი შესრულდა, შესრულების პროცესში	23
გაეწია კონსულტაცია	39